საქართველოს ბანკი
ბიზნესი

№ 0C241072

"01" 02 2024

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახურს

სს საქართველოს ბანკი (ს/კ 204378869) (შემდგომში - **ბანკი**) წარმოდგენილი მომართვის პასუხად გაცნობებთ, რომ **ბანკი**, როგორც იპოთეკარი, თანახმაა მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით #01.12.21.001.210 (შემდგომში - **იპოთეკის საგანი**) (მესაკუთრე: შპს "ეკო ინვესტი" (ს/ნ 400237463), მისამართი: ქალაქი თბილისი, უცნობ გმირთა ქუჩა, #7) დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) შესაბამისად მოხდეს პროექტის შეთანხმება და გაიცეს მშენებლობის ნებართვა (შემდგომში - **ნებართვა**). ამასთან, გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ზემოაღნიშნულ **იპოთეკის საგანზე ბანკის** სასარგებლოდ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ნებისმიერი/ყველა უფლება(ები) (მათ შორის, როგორც არსებული ისე სამომავლო) სრულად შენარჩუნდება/დარეგისტრირდება. ამასთან, ასეთი უფლებები სრულად შენარჩუნდება/დარეგისტრირდება მათ შორის იმ უძრავ ნივთებზეც, რომელიც **იპოთეკის საგანზე ნებართვის** საფუძველზე განხორციელებული/განსახორციელებელი ცვლილების შედეგად წარმოიშობა/დარეგისტრირდება.

პატივისცემით,

ერეკლე ვაშაყმაძე

კორპორაციული კლიენტების მომსახურების
დეპარტამენტის სექტორის უფროსი

222489